ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა ფაკულტეტი.
ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)

ალექსი ნიკოლიშვილი

იმპლიციტური მიკერძოებულობა რელიგიური ნარატივების მიმართ

ნაშრომი შესრულებულია ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლალი სურმანიძე
პროფესორი,ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

თბილისი
2019

აბსტრაქტი

კვლევის მთავარი თემა ფარული რელიგიური ნარატივების მიმართ იმპლიციტური მიკერძოებულობაა .რელიგიის სოციალური და ისტორიული მნიშვნელობა რომ ძალიან დიდია, არავისთვისაა გასაკვირი. რელიგია მაკროკულტურული ფაქტორი და მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტიტუციაა. მას უდიდესი გავლენა აქვს ადამიანების ცხოვრებაზე. თუმცა, გარდა გამჟღავნებული ძალაუფლებისა, ჩვენს რეალობაში უხვადაა გაბნეული რელიგიური ნარატივები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ჩვენი ცნობიერისთვის დაფარულია და რომლებსაც უნდა ჰქონდეთ გავლენა ადამიანის გადაწყვეტილებებზე, გემოვნებაზე, შეხედულებებზე და ა.შ. ეს გავლენები ადამიანზე არაცნობიერად მოქმედებს და ამ კვლევის მიზანიც სწორედ ამ ფენომენის გამოვლენა და შეძლებისდაგვარად ახსნა იყო. კვლევის საგანს წარმოადგენდა 2 წერილობითი ნარატივი, ერთი ნარატივი ატარებდა ფარულ რელიგიურ შინაარსებს, ხოლო მეორე - ფარულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შინაარსებს. კვლევის ობიექტი იყო ადამიანი, რომელსაც უნდა წაეკითხა ნარატივები და აერჩია რომელი უფრო მოსწონდა. შემდეგ მონაწილეებს უტარდებოდათ ინტერვიუ და მოხდა შეგროვებული ინფორმაციის თემატური ანალიზი. კვლევის შედეგად შევეცადეთ, თემატური ანალიზით აგვეხსნა არაცნობიერი მიკერძოებულობის ეფექტი. კვლევაში გამოკითხული თხუთმეტი რესპონდენტიდან 7-მა აირჩია რელიგიური ნარატივი და ანალიზმა აჩვენა, რომ მართლაც, მათი არჩევანის მიზეზი სწორედ რელიგიურ შინაარსებთან, ასიმილაციის პროცესით, შინაარსების ფორმირება გახდა.

Abstract

The main topic of the study is the implicit bias towards hidden religious narratives. The great social and historical significance of religion is a surprise to no one. Religion is Macro-cultural factor and one of the strongest institutions in the world. It has a great influence on people lives. However, besides its disclosed power, religion has the influence we are unaware of. We live in a world where the hidden religious narratives are scattered in our everyday life. Our consciousness cannot grasp the religious themes in them but nevertheless, they should have an influence on our decisions, opinions, on our taste and etc. These influences are Unconscious and the main goal of this study is to reveal this phenomenon by using thematic analysis and explain it as much as possible. As a result of the research, We tried to explain the effect of Implicit bias in human cognition. In this research, we used 2 pieces of written narratives. One had hidden religious themes and cultural markers in it and the other – hidden political and economic themes and cultural markers. Participants had to choose between them which one they liked over the other. After that, participants were interviewed and collected data were analyzed using the thematic analysis. Out of 15 participants, 7 chose the religious narratives and analyzes showed, that the main reason for their choice was cultural religious markers and the participants' implicit bias towards them.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, რელიგიური ნარატივი, შინაარსების ფორმირება, მაკროკულტურული ფსიქოლოგია, კულტურული კოგნიცია, იმპლიციტური მიკერძოებულობა.

სარჩევი

შესავალი 6
ტრადიციული და ინტერპრეტაციული მიდგომები მნიშვნელობის გაგებაში 6
ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური პოზიცია 7
კოგნიტივისტური მიდგომა - სქემა, ასიმილაცია, იმპლიციტური მიკერძოებულობა 12
სქემა 12
ასიმილაცია 13
იმპლიციტური მიკერძოებულობა 13
კულტურა - როგორც სიმბოლოთა სისტემა 15
რელიგია - როგორც სიმბოლოთა სისტემა და მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. 16
რელიგია, როგორც მაკროკულტურული ფაქტორი და მის მიმართ პოზიტიური იმპლიციტური მიკერძოებულობის მაგალითები პოპ-კულტურაში. 17
კვლევის კითხვა, მიზნები და ამოცანები: 20
კვლევის ამოცანები: 21
კვლევის მეთოდოლოგია 21
შერჩევა 22
მონაცემთა მოკრება 23
კვლევის მასალა 23
გამოკითხვის პროცედურა: 24
ინტერვიუს პროცედურა: 24
გამოკითხვით და ინტერვიუს დახმარებით მიღებული შედეგების დამუშავება 25
ანალიზი 26
რელიგიური ტექსტის ანალიზი 28

პოლიტიკურ-ეკონომიკური ტექსტის ანალიზი 36
შედეგები, კვლევის შეზღუდვები და დასკვნა 44
მიმართულებები მომავალი კვლევებისთვის 49
კვლევის ღირებულება და პრაქტიკული გამოყენების გზები: 50
გამოყენებული ლიტერატურა: 51
დანართი #1 52
პოლიტიკური და ეკონომიკური ნარატივი: 53
დანართი #2 54
კვლევაში გამოყენებული კითხვარი: 54
დანართი #3 55
ინფორმირებული თანხმობის ფორმა: 55

შესავალი

ტრადიციული და ინტერპრეტაციული მიდგომები მნიშვნელობის გაგებაში

სოციალური მეცნიერებების დასაბამიდან დღემდე, განსაკუთრებით იმ დისციპლინებში, რომლებიც კულტურის გაგებით ინტერესდება, მეცნიერების დიდი ნაწილი (სოციოლოგია, სემიოტიკა, ანთროპოლოგია და ა.შ.) ფოკუსირდებოდა კულტურის გააზრების იმ მოდელებზე, რომლებიც სვამდა კითხვას, თუ რას ნიშნავს კულტურული სიმბოლო, რა არის მისი მნიშვნელობა? მოცემული შეკითხვა გულისხმობს, რომ კულტურაში იმთავითვე არსებობს ინსტიტუციური უკვე დამკვიდრებული მნიშვნელობები, რომლებიც გაზიარებულია კულტურის წარმომადგენელთათვის. ამ მოდელებს კულტურის გირცისეული ხედვა უდევთ საფუძვლად, რომ კულტურა უნდა დავინახოთ როგორც წაკითხვადი ტექსტი. მათთვის კულტურული მოვლენები „ტექსტებია“, რომლებსაც იმთავითვე, ინდივიდისგან დამოუკიდებლად, აქვთ „მნიშვნელობა“. ამგვარ მნიშვნელობას გამორჩეული ამერიკელი კულტურული ანთროპოლოგი, ბრედ შორი „ლოგიკურს“ უწოდებს (Shore, 1996). ამ მიმდინარეობების საპირისპიროდ, არსებობს კულტურის გაგების მიდგომები, რომლებიც კულტურული შინაარსების გახსნისას ინდივდზე ფოკუსირდებიან და სვამენ კითხვას, თუ

ვისთვისარსებობს ეს მნიშვნელობები. ტერმინს თუ ისევ შორს დავესესხებით, ეს „ფსიქოლოგიური“ მნიშვნელობაა. ამ შემთხვევაში ინდივიდი არა უბრალოდ მნიშვნელობის პასიური წამკითხველია, არამედ ის აქტიურად მონაწილეობს და აქვს გავლენა კულტურული სიმბოლოების მნიშვნელობებზე. ეს პოზიცია ნიშნებისა და სიმბოლოების გააზრებას კიდევ ერთ, ფსიქიკურ განზომილებას ამატებს და აჩენს ფსიქოკულტურული მოდელის აუცილებლობის შეგრძენებას. „ანთროპოლოგიას დიდი ხანია სჭირდება არა მარტო ნიშანთა და სიმბოლოთა თეორია, არამედ სიმბოლოთა წარმოქმნის თეორია“ (Shore, 1996, გვ 316). აღსანიშნავია, რომ როგორც კულტურული სიმბოლოს შესწავლა არაა მიზანშეწონილი ფსიქოლოგიური ასპექტის გაუთვალისწინებლად, ასევე ადამიანური ბუნების შესწავლაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული კულტურა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ადამიანისბუნების შესწავლა კულტურის გაუთვალისწინებლად ვერ დაგვაახლოვებს ადამიანობის ბაზისურ დონეზე გაგებასთან, არამედ, ამ მეთოდით, შევისწავლით ქმნილებას, რომელიც ბიოლოგიური არსებაა, თუმცა აკლია ადამიანისთვის სახასიათო თვისებები (Shore, 1996)

ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური პოზიცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც „ლოგიკური“, ასევე „ფსიქოლოგიური“ მნიშვნელობა ნამდვილად არსებობს და ორივე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანის ყოფაში, შეუძლებელია რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება და კულტურისა თუ პიროვნების შესწავლა რომელიმეზე აქცენტის გაკეთებითა და მეორეს უგულვებელყოფით. კვლევა მოცემულ სფეროში იმთავითვე გულისხმობს ინსტიტუციურ (კულტურაში დამკვიდრებულ მყარ) და მენტალურ (ფსიქიკურ პროცესებს) ფაქტორებს შორის ურთიერთობას.როგორც რატნერი წერს (Ratner, 2006), ეს განზომილებები ერთმანეთთან დიალექტიკურ

დამოკიდებულებაშია, მათ ერთმანეთზე აქვთ გავლენა.კულტურული ფაქტორები ცვლიან და საკუთარ თავზე ირგებენ ფსიქიკურ პროცესებს იმისთვის, რომ ინდივიდმა შეძლოს მის კულტურაში დამკვიდრებული ინსტიტუციური მნიშვნელობების გააზრება. ამგვარად შეცვლილი ფსიქიკური პროცესი არის „იარაღი“, რომელიც მორგებულია გარემოს და გვაძლევს საშუალებას სრულფასოვნად ვიარსებოთ სოციო-კულტურულ სივრცეში. თავის მხრივ, კულტურული ფაქტორები საზრდოობენ ფსიქიკური ფენომენებით და იცვლებიან მათი გავლენით. მაგალითად, *ეჭვიანობა.* ეჭვიანობა არის ფენომენი, რომელიც ასაზრდოებს ისეთ კულტურულ ფაქტორს, როგორიცაა ინდივიდის თუ ნივთის ექსკლუზიური ფლობა (Ratner, 2006). მნიშვნელობების შექმნაც სწორედ ამ დიალექტიკური ურთიერთობის შედეგად ხდება.ამიტომ ლოგიკური იქნება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კულტურული ფაქტორის მიერ მოწოდებულის და პიროვნებაში უკვე არსებულის ცალ-ცლკე შესწავლა ჭეშმარიტი მნიშვნელობების გაგებისთვის ვალიდურ ცოდნას ვერ დააგროვებს. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისთვის მათი კვლევა მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულებაშია საინტერესო.

სიტყვა “მნიშვნელობას” რამდენიმე განმარტება აქვს. რეკერისა და ვონგისეული გაგებით, მნიშვნელობა წარმოადგენს “წესრიგის, შეთანხმებულობის და მიზნის გაცნობიერებას პიროვნების არსებობაში, აზრიანი მიზნების დასახვას, სისრულეში მოყვანას და ამ ყველაფრის თანმხლები კმაყოფილების შეგრძნების ქონას”(Reker G. & Wong P; 1988, გვ 221).

ჩვენს კვლევაში ამ განმარტებას კიდევ ერთი, არაცნობიერი დონე ემატება. ვინაიდან, მნიშვნელობის წარმოქმნას განვიხილავთ როგორც კოგნიტურ სქემებთან ასიმილაციის პროცესის შედეგს და ასიმილაცია ცნობიერების გარეთ მიმდინარე პროცესია. ეს განმარტება რელევანტური უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ ვიტყვით, მნიშვნელობა წარმოიქმნება მაშინაც, თუ ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები არაცნობიერ დონეზე განხორციელდება. გამომდინარე იქიდან, რომ კულტურა ინდივიდში განიცდება, ანუ გარემოდან შემოსული ინფორმაცია აუცილებლად გადის ფსიქიკური პროცესების

წყებას, სწორედ პიროვნებაა ინსტიტუციური და მენტალური ფაქტორების შეხვედრის ადგილი და ინდივიდუალური მნიშვნელობის შექმნის პროცესიც სწორედ პიროვნებაში მიმდინარეობს.

პარკი და ფოლკმანი (Park L. & Folkman S. 1997) მნიშვნელობაზე საუბრისას გამოყოფენ მნიშნველობის ორ დონეს, გლობალურსა და სიტუაციურს. "გლობალურში" მოიაზრებენ მნიშვნელობების ყველაზე აბსტრაქტულ დონეს, ხალხთა ზოგად რწმენა-წარმოდგენებს და მოლოდინებს სამყაროზე. აღნიშნავენ, რომ გლობალური მნიშვნელობა გავლენას ახდენს წარსულისა და ახლანდელის აღქმასა და მომავლის წინასწარმეტყველებაზე. "სიტუაციურ" მნიშვნელობაში კი გულისხმობენ მნიშვნელობას, რომელიც წარმოიქმნება გლობალური მნიშვნელობისა და კონკრეტული გარემოს ურთიერთობის შედეგად. ხაზს უსვამენ შემდეგს, რომ ორივე სახის მნიშვნელობაში ჩართულია ინდივიდის კონსტრუქტები და ინდივიდუალური გაგების თავისებურებები. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისთვის მათი კვლევა მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულებაშია საინტერესო.

როდესაც კულტურული ფაქტორისა და ფსიქიკის ურთიერთგავლენაზე ვსაუბრობთ, ჩვენთვის საინტერესო სწორედ მათი გადაკვეთის წერტილებია, ყველაზე რთული კი მათი ლოკალიზება და მოხელთებაა. ადამიანებსა და გარესამყაროს შორის ურთიერთობა ფსიქიკური პროცესებითაა გაშუალებული, თავად გარესამყარო კი მაკროკულტურული ფაქტორების ჯამია, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოების სოციალურ წესებსა და კანონებს. ადამიანი სოციალური არსებაა და სრულფასოვანი არსებობისთვის აუცილებელია გაიაროს სოციალიზაციის რთული პროცესი, მიიღოს და აითვისოს კულტურული ფაქტორები. სოციო-კულტურულ გარემოში ადაპტაციას, ქცევის ნორმების ათვისებას და სამყაროს მოწესრიგებას კი ჩვენ ფსიქიკური პროცესების დახმარებით ვახდენთ (აღქმა, განზოგადება, მეხსიერება და ა.შ.).

ჩვენ ვიცით, რომ კულტურების მიხედვით ფსიქოლოგიური პროცესები განსხვავდება, მაგალითად ემოცია. მიუხედავად იმისა, რომ ემოცია ყველა

კულტურისთვის დამახასიათებელი პროცესია, მასზე გავლენა სოციო-კულტურულ გარემოსაც აქვს, შესაბამისად, განსხვავდება კულტურების მიხედვით. გარემო ემოციას აძლევს ფორმასა და უწესებს გამოხატვის საზღვრებს. კოლექტივისტურ საზოგადოებაში, მაგალითად იაპონიაში, ერთი ინდივიდის ემოცია ძლიერად უკავშირდება ჯგუფისას (Markus, Hazel R.,Kitayama, Shinobum 1991). შესაბამისად, მეტია კონტროლი ინდივიდის ემოციაზე ჯგუფის მიერ, რადგან ემოცია, გამოხატული ინდივიდის მიერ, არ ეკუთვნის მხოლოდ პიროვნებას, არამედ მეტყველებს ჯგუფზეც. ამის საპირისპიროდ, დასავლურ კულტურებში ემოცია წმინდად ინდივიდუალისტურია და ემოციის გამოხატვის შეზღუდვა-ნაკლები. მოყვანილი მაგალითი დასტურია იმისა, რომ ნამდვილად ახდენენ კულტურული ფაქტორები ადამიანის ფსიქიკური პროცესების ცვლილებას, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საკუთარ თავზე ირგებენ პიროვნების ფსიქიკას. „ფსიქოლოგიური მოვლენები უნდა შეესაბამებოდეს მაკროკულტურულ ღირებულებებს, რათა ინდივიდები ფლობდნენ შინაგან სახელმძღვანელო მექანიზმს, რომლის დახმარებითაც აითვისებენ და შეინარჩუნებენ მაკროკულტურულ ფაქტორებს“ (Ratner, 2006.)

ფსიქოლოგიური ფენომენების ფესვები ისტორიულ ძალებშია, მთავრობათა პოლიტიკა, ომები, ინდუსტრიალიზაცია, ემიგრაცია, ეკონომიკური სისტემა, რელიგია და კიდევ ბევრი სხვა აყალიბებდა და საკუთარ თავზე ირგებდა ადამიანის კოგნიციას (Ratner, Guitart; 2013). შესაბამისად, ფსიქიკა დროში ცვალებადია, და იცვლება კულტურასთან ერთად, მასთან შეთანხმებით. რატნერი (2006) წერს, რომ მაკროკულტურული ფაქტორები ითხოვენ ოპერირების განახლებულ მექანიზმებს. ფსიქიკური პროცესები კი სწორედ ეს მექანიზმებია. ფსიქიკა განიცდის ადაპტაციას, რათა ფეხი აუწყოს მსხვილი კულტურული ფაქტორების ცვლილებას და დარჩეს მათთან კონგრუენტული.

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება კოგნიტივისტურ მიდგომებს, მაკროკულტურულ ფსიქოლოგიას და ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას. კვლევის საგანი ცალსახად ფსიქო-ანთროპოლოგიურია. სოციოკულტურულ რეალობაში არსებული და პიროვნული მნიშვნელობების გადაკვეთაა საკითხი, რომლითაც

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია ინტერესდება. ადამიანის არსებობის ფუნდამენტური საკითხების შესწავლას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქის სოციო-კულტურულ გარემოს, რომელში მცხოვრები ადამიანიც ჩვენთვის საინტერესოა. სწორედ ამიტომ, ვაკეთებთ დაშვებას, რომ კულტურული ფაქტორები და ფსიქოლოგიური ფენომენები ერთმანეთთან დიალექტიკურ ურთიერთმიმართებაშია და კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს მაკროკულტურული ფსიქოლოგიიდან ვიღებთ - როდესაც გვაინტერესებს ორ ისეთ მოვლენას შორის გადაკვეთა, როგორიცაა კულტურული ფაქტორი და ფსიქიკა, აუცილებელია მათ დიალექტიკაში შესწავლა, რადგან ისინი უცილობლად ახდენენ ერთმანეთზე გავლენას და მიღებული შედეგი ორივეს სინთეზს წარმოადგენს. ეს შედეგი კი უნიკალურია და მხოლოდ ამ ორი ფაქტორის ურთიერთდამოკიდებულებაში იქმნება. მაკროკულტურული ფაქტორები ეპოქების მიხედვით იცვლებიან, შესაბამისად ცვლიან იმ გავლენების ხასიათს, რომელიც მათ პიროვნებაზე აქვთ. კოგნიტივისტიკა გვეხმარება ამ გავლენების ერთ-ერთი ასპექტი, იმპლიციტური მიკერძოებულობა, გამოვავლინოთ მნიშვნელობის შექმნის პროცესით. მნიშვნელობის წარმოქნის პროცესი ცენტრალური საკითხია კულტურულ კოგნიტივისტიკაში და მასში ჩართულია ისეთი მნიშვნელოვანი კოგნიტური ფენომენები, როგორიცაა კოგნიტური სქემები და ასმილაციის მოვლენა.

კოგნიტივისტური მიდგომა - სქემა, ასიმილაცია, იმპლიციტური მიკერძოებულობა

სქემა

როგორც პიაჟე (1983) განმარტავს, კოგნიტური სქემები აღწერს ინფორმაციის გაგებასა და ცოდნაში ჩართულ როგორც მენტალურ, ისე ფიზიკურ მოქმედებებს. სქემა არის კატეგორიზებული ცოდნის „ცოცხალი“ ერთეული, რომელიც თავადაც არის კატეგორიზებული ცოდნის წყარო და, იმავდროულად, წარმოადგენს იმ პროცესის საფუძველს, რომლითაც ადამიანი ახდენს სამყაროს გაგებას და ინტერპრეტაციას. სხვა სიტყვებით, ქმნის მისთვის გასაგებ მნიშვნელობებს გარე სამყაროდან შემოსულიინფორმაციის გამოყენებით. შორი (1996) კოგნიტურ სქემებს მოიხსენიებს

როგორც მოდელებს და მნიშვნელობის წარმოქმნის პროცესს აღწერს, როგორც მოდელებთან პიაჟესეულ *ასიმილაციას.*

ასიმილაცია

პიაჟე წერს, რომ ცოდნის ათვისების ერთ-ერთი ხერხი ასიმილაციის პროცესია. ასიმილაცია არის გზა, რომელიც არ მოითხოვს დიდ კოგნიტურ რესურსს და რომლითაც ვიაზრებთ ახალ ინფორმაციას. ასიმილაციის პროცესი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ახალი ინფორმაცია მსგავსია ინფორმაციისა, რომელიც ჩვენში უკვე არსებულ სქემებში ინახება, მაგრამ არაა მათი იდენტური. მხოლოდ ამ დროს ხდება ახალი ინფორმაციის ასიმილირება და დამატება უკვე არსებულ კოგნიტურ სტრუქტურებზე. ინფორმაციის მიმღების სქემები ფართოვდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ასიმილაციის პროცესით უკვე არსებულ ცოდნას ახალი ინფორმაცია დაემატა.

იმპლიციტური მიკერძოებულობა

იმპლიციტური მიკერძოებულობა არის ავტომატური პროცესი, რომელიც მოქმედებს გაუცნობიერებლად, არის უნივერსალური მოვლენა და ფსიქიკაში ღრმადაა ჩაბეჭდილი. იმპლიციტური მიკერძოებულობის აღმძვრელს დასწავლილი სტერეოტიპები წარმოადგენს (Noon, M. 2018).უკანასკნელ წლებში იმპლიციტური მიკერძოებულობა ძალიან პოპულარული თემაა კოგნიტური მიდგომების სფეროში. ამის მიზეზი ისაა, რომ იმპლიციტური მიკერძოებულობა პირდაპირ კავშირშია ისეთი საკითხების კვლევასთან, როგორიცაა რასიზმი, იდენტობები, კულტურული მრავალფეროვნება და ა.შ.

იმპლიციტური მიკერძოებულობას განიხილავენ, როგორც წინასწარ ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებს ადამიანთა ჯგუფების მიმართ, (ეთნოსი, გენდერი, რასა და ა.შ.). თუმცა, პიროვნებები იმპლიციტურად ტენდენციურნი მხოლოდ ადამიანთა ჯგუფების მიმართ არ არიან - ეს მოვლენა თავს იჩენს ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, სუპერმარკეტში პროდუქტის შეძენის დროს შეიძლება პოზიტიურად ტენდენციური ვიყოთ რომელიმე პროდუქტის მიმართ. ამის მიზეზი კი შეიძლება ჭკვიანურად მოფიქრებული რეკლამის გავლენით გამოწვეული იმპლიციტური მიკერძოებულობა იყოს. იმპლიციტური მიკერძოებულობის კვლევების დიდი ნაწილი მიმართულია სამუშაო ადგილებზე იმპლიციტური მიკერძოებულობის შემცირებისკენ. იმპლიციტური მიკერძოებულობის შესახებ ტრენინგების ჩატარებით ამაღლებენ ცნობიერების დონეს პრობლემის გარშემო და ამ გზით ებრძვიან იმპლიციტური დამოკიდებულებების უარყოფით შედეგებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სახის მიკერძოებულობას აქვს როგორც ცუდი, ისე დადებითი შედეგებიც.

ამგვარად, იმპლიციტური მიკერძოების ფენომენი ტენდენციურობის აღმძვრელ მოტივაციურ ძალას ფლობს და თავს იჩენს ყოველდღიური ცხოვრების მრავალ სფეროში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ეს ფენომენი გავლენას უნდა ახდენდეს ადამიანთა მონათხრობზეც - ნარატივზე. წინამდებარე კვლევაში ჩვენი შესწავლის საგნად სოციოკულტურულ სივრცეში გაბნეული მაკროდონის კულტურული ნარატივები იქცა.

ჩვენ ვივარაუდეთ, რომ იპლიციტურ მიკერძოებას უნდა ექვემდებარებოდეს ის შინაარსები, რომლებიც იოლად ექვემდებარება ასიმილირებას. სხვა სიტყვებით, იმპლიციტური მიკერძოება აღიძვრება იოლად ასიმილირებადი შინაარსების მიმართ.

კულტურა - როგორც სიმბოლოთა სისტემა

კულტურა, რომელშიც ვარსებობთ, სიმბოლოების ერთიანობა და მათ შორის მიმართებების მთელი სისტემაა. მიკრო და მაკრო კულტურული ფაქტორები ქმნის სიმბოლოთა მოწესრიგებულ სისტემებს, რომლებიც ატარებენ მნიშვნელობებს და განიცდებიან ინდივიდის მიერ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, პიროვნების გარეთ არსებული კულტურული სიმბოლოს მნიშვნელობა არაა საბოლოო პროდუქტი. სიმბოლოს ინსტიტუციური მნიშვნელობა არასაკმარისია მისი შინაარსის აღსაწერად ისევე,

როგორც მხოლოდ ინდივიდის ინტეპრეტაცია ვერ შეძლებს ნიშნის შინაარსის სწორად განსაზღვრას.იმისთვის, რომ დავუახლოვდეთ სიმბოლოს იმ შინაარსს, რომელსაც პიროვნება რეალურად განიცდის, ამ ორი „ენის“ გადაკვეთაზე უნდა ვისაუბროთ, ვიპოვოთ ადგილები, სადაც ისინი ერთმანეთს ავსებენ და რეალურად მნიშვნელოვან შინაარსებს ქმნიან. ამ პროცესის საილუსტრაციოდ შევეცდები მსხვილი კულტურული ფაქტორის - რელიგიისა და პიროვნების ფსიქიკური პროცესების დიალექტიკური ურთიერთობა გავაანალიზო.

რელიგია - როგორც სიმბოლოთა სისტემა და მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

მნიშვნელობის შექმნა კულტურულ სიმბოლოსა და მნიშვნელობის მაძიებელ ინდივიდს შორის თანხვედრაა (Shore, 1996, გვ. 319) და პიაჟესეული „ასიმილაციის“ პროცესის მსგავსია. ასიმილაცია ცენტრალური მოდელია მნიშვნელობის შექმნის პროცესში და გულისხმობს შემდეგს: ადამიანები უკვე არსებულ კოგნიტურ სქემებს იყენებენ იმისთვის, რომ გაიაზრონ და მნიშვნელობა მიანიჭონ ახალ გამოცდილებებს. მნიშვნელობის წარმოქმნა ახალში „ნაცნობის“ დანახვას, ახლის „ნაცნობთან“ ასიმილაციას გულისხმობს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის ტენდენციურობას უნდა განაპირობებდეს გარკვეული მოვლენების მიმართ. ჩვენი აზრით, თუ პიროვნება არჩევანის წინაშეა, მოვლენათა სპექტრიდან აირჩევა ის, რომელთანაც ასიმილაცია იოლია და სწორედ ამ ობიექტის მიმართ იქნება ის იმპლიციტურად მიკერძოებული. ამ წმინდად ფსიქიკურ პროცესში გადამწყვეტ როლს ისევ მსხვილი კულტურული ფაქტორები თამაშობს. რაც უფრო ძლიერია კონკრეტული კულტურული სისტემა რეალობაში, მით მეტი კოგნიტური რესურსი (მეტად ძლიერი კოგნიტური სქემები) აქვს პიროვნებას იმისთვის, რომ ამ კულტურული ფაქტორის შესაბამის სიმბოლურ სისტემებთან მოახდინოს ასიმილაცია.

როდესაც მაკროკულტურული ფაქტორის, ამ შემთხვევაში, რელიგიის შესაბამის კოგნიტურ სქემებზე ვსაუბრობთ, ვეყრდნობით დაშვებას, რომ რელიგია სისტემაა, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისი, ობიექტური კულტურული მოდელებით და რომელსაც გააჩნია მყარი კულტურული მარკერები. იქიდან გამომდინარე, რომ ამ მაკროკულტურული ფაქტორის გავლენებში ადამიანს საუკუნეების განმავლობაში უწევდა და დღესაც უწევს არსებობა, მათ აუცილებლად უნდა შეჰქმნოდათ ამ მაკროკულტურული ფაქტორის შესაბამისი მენტალური სქემები, რათა შესაბამის გარემოში მათი ქცევა ადეკვატური ყოფილიყო. ამ დაშვებით, შეგვიძლია ვისაუბროთ რელიგიური კოგნიტური სქემის სავარაუდო კომპონენტებზე: სიმბოლოები (ხატი, წმინდანი, სამსხვერპლო და ა.შ) ბინარული ოპოზიციები (სამოთხე - ჯოჯოხეთი, ცოდვა - მადლი, ლოცვა - წყევლა, კეთილი - ბოროტი და ა.შ.). რელიგიური ისტორიები (წმინდანების ისტორიები, ბიბლიური ამბები).

იქიდან გამომდინარე, რომ რელიგიური ისტორიები და ზეპირი თუ ხელნაკეთი არტეფაქტები ფართოდაა გაზიარებული იმ ერების მიერ რომლებიც ერთი რელიგიის მიმდევრები არიან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნაციონალურობის გავლენების მიუხედავად, სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს, გარკვეულწილად, მსგავსი რელიგიური სქემები უნდა ჰქონდეთ. მაგალითისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ერებს გასხვავებული ისტორიული გამოცდილებები აქვთ და ამან შეიძლება გამოიწვიოს რელიგიურ სქემებში გარკვეული კომპონენტების დამატება ან ამოღება, ბაზისური რელიგიური მარკერები მათთვის მაინც გაზიარებულია. (მაგალითად, მართლმადიდებელი ერებისთვის - მართლმადიდებლური რიტუალები, ბიბლია და მასში მოთხრობილი ისტორიები, წმინდა ადგილას ქცევის წესები და ნორმები და ა.შ.)

რელიგია, როგორც მაკროკულტურული ფაქტორი და მის მიმართ პოზიტიური იმპლიციტური მიკერძოებულობის მაგალითები პოპ-კულტურაში.

ისტორიულად, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კულტურული ფაქტორი რელიგიაა. კლიფორდ გირცი ესეში „რელიგია როგორც კულტურული სისტემა“ (1966), რელიგიას შემდეგნაირად განმარტავს: „რელიგია არის სიმბოლოთა სისტემა, რომლის მიზანია ადამიანში შექმნას და დაამყაროს ძლიერი, გავლენიანი, დროში გამძლე განწყობები და მოტივაციები არსებობის ზოგადი წესების კონცეპტუალიზაციის გზით, სადაც ეს კონცეფციები შეფუთულია ისეთი ფაქტობრივი აურით, რომ მის მიერ შექმნილი განწყობები და მოტივაციები ძალზედ რეალურად ეჩვენება ადამიანს.“

რელიგია, როგორც კულტურული ფაქტორი, ძალიან ძლიერია და მისი შინაარსებით შექმნილი კოგნიტური სქემები ყველა ინდივიდს გააჩნია. შესაბამისად, ის სემანტიკური სისტემა, რომელიც რელიგიამ ჩვენს კოგნიტურ სივრცეში შექმნა, უნდა ამარტივებდეს ჩვენს საარსებო სივრცეში გაფანტული რელიგიური ნარატივების ამოცნობას და შინაარსების ფორმირებას. აქედან გამომდინარეობს კვლევის **ჰიპოთეზა** - *ადამიანი მეტად უნდა იყოს იმპლიციტურად მიკერძოებული რელიგიური მარკერების მატარებელი მოვლენების მიმართ, ვიდრე, სხვა მაკროკულტურული ფაქტორისთვის დამახასიათებელი კულტურული მარკერების მატარებელი მოვლენების მიმართ.*

ამ მოვლენის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი პოპულარული კულტურიდან.

- ბრიტანელი ავტორის, ჯ.კ. როულინგის ყველასთვის კარგად ნაცნობი წიგნი „ჰარი პოტერი“. ამ წიგნში რელიგიური სიმბოლიკა ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰარი პოტერში აღწერილი სიუჟეტები რელიგიურ ნარატივებს გვიყვება. მაგალითად იმისთვის, რომ ჰარი პოტერმა ბოროტება საბოლოოდ დაამარცხოს, უნდა გარდაიცვალოს და შემდეგ დაბრუნდეს. იმავე სცენარით ვითარდება იესო ქრისტეს ცხოვრება, რომელიც გარდაცვალებით და შემდეგ დაბრუნებით ამარცხებს სიკვდილს. ასევე, ჰარი პოტერის მეორე წიგნში, „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი“,

ჰარი, წიგნის კულმინაციაში, უნდა ჩავიდეს ჯურღმულში, დაამარცხოს ანტიკური მხეცი ბასილისკო, და გადაარჩინოს ქალწული ჯინი. ეს ნარატივი ძალიან ჰგავს წმინდა გიორგის ისტორიას, რომელმაც უნდა განგმიროს ურჩხული, რომელიც მსხვრეპლად ადამიანებს მოითხოვს და გადაარჩინოს პრინცესა.

ჰარი პოტერის მაგალითი მოცემულ კვლევაში გამოსადეგია იმიტომ, რომ, იგი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე გაყიდვად ლიტერატურულ ნაწარმოებს*. ნაწარმოების პოპულარულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება სწორედ ეს ჩავთვალოთ და ვივარაუდოთ: *ადამიანებს იმიტომ მოსწონთ ჰარი პოტერი ასე ძალიან, რომ ისინი მარტივად ახდენენ უკვე მათ ცნობიერებაში არსებული შინაარსების, და ახალი, წიგნიდან მიღებული ინფორმაციის სინთეზს და ასიმილაციის პროცესით მნიშვნელობის შექმნას.*

როცა საქმე პოპულარულ კულტურას ეხება, მსგავსი სურათი გვაქვს მულტიპლიკაციური ფილმების სფეროშიც, Imdb.com-ზე, რაც წარმოადგენს ფილმების ყველაზე პოპულარულ ონლაინ მონაცემთა ბაზას, (83 მილიონი მომხმარებელი), ანიმაციური ფილმი მეფე ლომი, დისნეის ფილმებში, რეიტინგით პირველია (8.5).

- მულტფილმში „მეფე ლომი“ სიმბას ისტორია ძალიან გავს მოსეს ბიბლიურ ნარატივს. სიმბაც ისევე, როგორც მოსე, ბოროტი ძალების გავლენით, უნდა გაიზარდოს თავის ოჯახიდან მოშორებით, რათა შემდგომ საკუთარი ხალხი იხსნას და გაათავისუფლოს ბოროტებისგან. სიმბას ადანაშაულებენ მამის სიკვდილში ისევე, როგორც მოსეს მონის მფლობელის. სიმბაც და მოსეც ტოვებენ საკუთარ სამშობლოს. ორივე სხვა “მისტიკური” პერსონაჟის გავლენით იხსნის საკუთარ ხალხს და სამშობლოს. სიმბა აგდებს ბოროტ სკარს, ხოლო მოსე - ძველ ფარაონს და ორივე იბრუნებს საკუთარ სამშობლოს.

კვლევის კითხვა, მიზნები და ამოცანები:

კვლევის კითხვა შემდეგში მდგომარეობს - არის თუ არა რელიგიური ნარატივები ფარულად ჩართული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქვთ თუ არა მათ გავლენა იმპლიციტურ მიკერძოებულობაზე. კვლევის **ჰიპოთეზაც** ესაა: ადამიანი იმპლიციტურად მიკერძოებული უნდა იყოს რელიგიური მარკერების მატარებელი მოვლენების მიმართ.

ამგვარად, კვლევის მიზანია ფარული რელიგიური ნარატივების გავლენით ჩამოყალიბებული იმპლიციტური მიკერძოების ტენდენციების გამოვლენა.

კვლევის ამოცანები:

1. საკვლევი ნარატივების მომზადება:
    - კულტურულ-რელიგიური მარკერების გამოყოფა და მათ საფუძველზე ნარატივის შექმნა;
    - კულტურულ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მარკერების გამოყოფა და მათ საფუძველზე ნარატივის შექმნა.
2. ინტერვიუს კითხვარის შექმნა.
3. მონაცემების მოკრება.
4. შედეგების სტატისტიკური და თემატური ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეხება კულტურული მნიშვნელობების გახსნასა და გააზრებას, შესაბამისად გამოყენებული იქნება ***ჰერმენევტიკული მიდგომა.***

თემატური ანალიზი. თემატური ანალიზი არის თვისებრივ მონაცემებში პატერნებისა და თემების ამოცნობის პროცესი. (Braun & Clarke 2006). რამდენადაც თემატური ანალიზი არაა მიბმული რომელიმე ეპისტომოლოგიურ ან თეორიულ პერსპექტივასთან და წარმოადგენს ე.წ. „მოძრავ“ მეთოდს, ის ხშირად გამოიყენება მულტიდისციპლინურ კვლევებში (Braun & Clarke 2006; Maguire, M. & Delahunt, B; 2017)

შერჩევა

კვლევის მონაწილეთა შერჩევისათვის გამოყენებული იქნება შემთხვევითი შერჩევა თბილისის მოსახლეობიდან. კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებს სოციალიზაციის პროცესი მეტნაკლებად გავლილი ჰქონდეთ, ამიტომ კვლევაში მონაწილეთა ასაკის მინიმუმი 18 წლით განისაზღვრა. კვლევის მოცულობა შეადგენს15 რესპონდენტს. შემთხვევითი შერჩევიდან გამომდინარე, სავარაუდოა გენდერის, ასაკისა და ეკონომიკური ფაქტორების მეტ-ნაკლებად თანაბარი გადანაწილება მოცემულ შერჩევაში.

მონაცემთა მოკრება

გამოყენებულ იქნა გამოკითხვის და ინტერვიუს მეთოდები.

კვლევის მასალა

გამოყენებულ იქნა სპეციალურად კვლევისთვის შექმნილი ორი ტექსტი:

- პირველ შემთხვევაში გამოიყო რელიგიური ნარატივების, კერძოდ, ბიბლიური ისტორიების საფუძველდებარე მარკერები. მათ ანალიზზე დაყრდნობით გამოყოფილმა მარკერთა ჯგუფმა მოიცვა რელიგიური მოვლენების აღმწერი/აღმნიშვნელი სიტყვები (მაგ. საკურთხეველი, მსხვერპლშეწირვა, ზეციური ნათელი და ა.შ.);
- მეორე შემთხვევაში მოხდა არარელიგიური მსხვილი მაკროკულტურული ფაქტორების (ეკონომიკა, პოლიტიკა) ამსახველი მარკერების გამოყოფა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა მასმედიის მასალები, კერძოდ, ტელე-რეპორტაჟები და საგაზეთო სტატიები. მათი ანალიზის საფუძველზე გამოყოფილმა მარკერთა ჯგუფმა მოიცვა სოციალური ფაქტების აღმწერი სიტყვები: პროტესტი, სიღარიბე, მთავრობის განკარგულება და ა.შ.;

შემდგომ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფმა 10 ადამიანის მონაწილეობით მოახდინა გამოყოფილი მარკერების ექსპერტიზა.

საბოლოოდ შეიქმნა ორი ნარატივი - „ბიბლიური“ მარკერების ბაზაზე და მაკროკულტურული ფაქტორების ბაზაზე, რომლებიც გამოყენებულ იქნა კვლევაში.

ე.წ. რელიგიური ნარატივის განვითარების ხაზი მიჰყვება წმინდა გიორგის გმირობის ისტორიას. გარდა მოვლენათა განვითარების იმთავითვე რელიგიური ხასიათისა, ნარატივი გაჯერებული იყო სხვა რელიგიური მარკერებითაც.

ე.წ. პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარატივი ეყრდნობოდა ამ სფეროების შესაბამის მარკერებს. მასში გადმოცემული იყო ეგვიპტეში მომხდარი ფაქტი, როცა ქვეყნის დედაქალაქ კაიროში ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით სამოცდაათიათას მოქალაქეს გაუწყვიტეს ღორების პოპულაცია, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის აქციას წარმოადგენს.

გამოკითხვის პროცედურა:

მონაწილეებს მიეწოდათ ორი ტექსტი. ერთი რელიგიური მარკერების გამოყენებით აგებული, ხოლო მეორე - პილიტიკურსა და ეკონომიკურზე. რესპონდენტებს ვთხოვეთ ყურადღებით წაეკითხათ და იმ ტექსტზე მიეთითებინათ, რომელსაც ანიჭებენ უპირატესობას. რომელიც უფრო მოეწონათ.

ინტერვიუს პროცედურა:

ინფორმირებული თანხმობის აღების შემდეგ, კვლევის მონაწილეებს ჩაუტარდათ სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუს ჩაატარა ერთმა ინტერვიუერმა და მოხდა ხმის ჩაწერა. შემდგომ აუდიომასალა ჩაიწერა ტრანსკრიპტებად.

გამოკითხვით და ინტერვიუს დახმარებით მიღებული შედეგების დამუშავება

გამოკითხვით მიღებული მონაცემები დამუშავდება სტატისტიკური მეთოდებით. შემოწმდება ჰიპოთეზა და დაითვლება პროცენტული მაჩვენებელი, თუ რომელ ნარატივს ანიჭებენ უპირატესობას და რამდენად. ინტერვიუს მეშვეობით მოპოვებული მასალა ჩაიწერება ტრანსკრიპტებად და მოხდება მათი თემატური ანალიზი.

ანალიზი

გაანალიზდა 15 ინტერვიუს ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. მოპოვებული აუდიომასალა ჩაიწერა ტრანსკრიპტებად.

ჩვენი მიზანი იყო მოპოვებულ ინტერვიუებში აღმოგვეჩინა თემები და პატერნები რომლებიც უკავშირდებოდა კვლევის კითხვას. გამოგვეყო ისინი და მოგვეხდინა მათი ინტეპრეტაცია.სწორედ ამიტომ, გამოვყავით თემატური ხაზები და გავაკეთეთ მათი ანალიზი კვლევის თეორიული ჩარჩოს ჭრილში.

თემატური ანალიზი განხორციელდა ბრაუნისა და კლარკის (2006) მიერ შემოთავაზებული ექვსსაფეხურიანი მოდელით. პირველ საფეხურზე მრავალჯერად გადაკითხვის შედეგად, კარგად გავეცანით მოპოვებულ მასალას.მეორე საფეხური წარმოადგენს პირველადი კოდების შექმნას, ჩვენს შემთხვევაშიც, ინტერვიუების კითხვის შედეგად იქმნებოდა პირველადი კოდები, რომელთა მოდიფიკაციაც და დახვეწაც კითხვის პროცესში ხდებოდა.მესამე და მეოთხე ეტაპები მოიცავს თემების გამოხშირვას,შემდეგ მათ ანალიზს თუ რამდენად გამოსადეგია მეორე ეტაპზე არჩეული თემები ჩვენთვის. მეხუთე ეტაპზე,იმ თემების განსაზღვრა, რომელთაცსაბოლოოდ გამოვიყენებთ ანალიზისთვის. ბოლო, მეექვსე ეტაპზე, მოხდა ანალიზის დასტრუქტურირება, ლოგიკურად დალაგება და ამ სახით ჩაწერა.

ჩვენს შემთვევაში, გამოიყო 3 მსხვილი თემა: **რელიგია, პოლიტიკა და ეკონომიკა.**თითოეულ მათგანში კი გამოვყავით მათი შემადგენელი რამდენიმე ქვე-თემა. ინტერვიუების დაკვირვებით წაკითხვის საფუძველზე, რელიგიის შემადგენელ ქვე-თემებად გამოიყო:

- ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის; კეთილი ძალების ტრიუმფი ბოროტებაზე

- ზებუნებრივი ძალის დახმარება და ზებუნებრივი ძალების არსებობის შეგრძნება
- მისტიკურობის განცდა
- პირდაპირი პარალელები რელიგიასთან და რელიგიურ ისტორიებთან

ქვეთემები:"ზებუნებრივი ძალის დახმარება" „მისტიკურობის განცდა" და „ზებუნებრივი ძალების არსებობის შეგრძნება", ზოგ შემთვევაში ერთმანეთს გადაკვეთენ, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ნარატივებში მათზე ხაზგასმა რესპონდენტების მხრიდან, მკვეთრი იყო. მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი ცალ-ცალკე,ქვე-თემებად გამოყოფა.

თემა პოლიტიკაში გამოიყო შემდეგი ქვე-თემები:

- ძალადობა, ძალაუფლება
- პროტესტი და წანააღმდეგობა
- მორჩილება და უსუსურობის განცდა
- პოლიტიკური ნება

მსგავსად რელიგიური თემისა, პოლიტიკური თემის ქვე-თემებიც შინაარსობრივად ახლოსაა ერთმანეთთან და გადაკვეთენ ერთმანეთს, თუმცა საჭირო გახდა მათი განცალკევება, რადგან, რესპოდენტები მკვეთრად გამოყოფდნენ ამ თემებს ინტერვიუს დროს.

თემა ეკონომიკაში კი გამოიყო შემდეგი ქვე-თემა:

- შემოსავლის წყარო

რელიგიური ტექსტის ანალიზი

ნარატივის არჩევის პროცედურის შემდეგ, თითოეულ მონაწილესთან ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ. კითხვები ნარატივის და მათი განცდების გარშემო ტრიალებდა და მიღებულ მასალაში თემატური ანალიზის გზით ვცდილობდით დაგვენახა თუ რის გამო აირჩიეს ესა თუ ის ნარატივი რესპონდენტებმა. ნამდვილად ითამაშა თუ არა რელიგიურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მარკერებმა გადამწყვეტი როლი მათ არჩევანში და ჰქონდა თუ არა ადგილი რელიგიური ნარატივის მიმართ იმპლიციტურ მიკერძოებულობას.

ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის; კეთილი ძალების ტრიუმფი ბოროტებაზე

ერთ-ერთი ქვე-თემა, რომელიც რელიგიის თემაში გამოიყო, არის*ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის; კეთილი ძალების ტრიუმფი ბოროტებაზე.*

რელიგიური სქემის ერთ-ერთი კომპონენტი, ბინარული ოპოზიცია*სიკეთე - ბოროტებაა.* სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება რელიგიური ტექსტებსა და დისკურსებს უცილობლად თან ახლავს. ხოლო რელიგიის ერთ-ერთი მთავარი მესიჯი ისაა, რომ კეთილი ბოროტზე ძლიერია და ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს კეთილი ძალების, ბოროტებაზე, ტრიუმფის იმედი.

რესპონდენტი #5, კითხვაზე შეუძლია თუ არა რაიმე პარალელის გავლება დღევანდელობასთან ან ისტორიულ მოვლენასთან, ხაზს უსვამს სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებას და ამბობს შემდეგს:

"...ვერ ვიტყვი რომ რამე მახსენდება, ალბათ ზოგადად კაცობრიობის ისტორია მთლიანად არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ყოველთვის კეთილი არ იმარჯვებს, მაგრამ კარგი იქნებოდა რომ ასე იყოს და ასე ვითარდებოდეს ჩვენი საზოგადოება."

რესპონდენტი #3,შეკითხვაზე თუ რა იყო, მისი აზრით, ამ ტექსტის დედააზრი, პასუხობს:

"*აზრი ალბათ ის არის რომ სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე, მაგრამ დიდად ის არ იყო მაინც რა..."*

შეკითხვაზე, თუ რა იყო მისი არჩეული ტექსტის დედააზრი რესპოდენტი #9 ხაზს უსვამს ჩვენს მიერ გამოყოფილ თემას და პასუხობს:

"*ბოროტზე ყოველთვის იმარჯვებს კეთილი"*

რესპონდენტი #3 და #4-ის პასუხები ამ შეკითხვაზე მოიცავს როგორც დაპირისპირებას სიკეთესა და ბოროტებას შორის, ასევე სიკეთის ტრიუმფს ბოროტ ძალაზე.

რესპონდენტი #12, ინტერვიუერის შეკითხვაზე თუ რა მოეწონა მის არჩეულ ტექსტში განსაკუთრებით, გამოყოფს კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებას და ამბობს:

"განსაკუთრებით მომეწონა თვითონ მიზანი და იდეა რაც ამ ტექსტშია რა, რეალურად მე წარმოვიდგინე რო ეს მხეცი რაღაცა ბოროტების და ცუდი ნეგატიური რაღაცების სიმბოლო იყო და მომეწონა ის რო ადამიანმა ეს რაღაც ცუდი ბოროტი დაამარცხა და რეალურად ეგ უფრო მომეწონა რო ადამინაის აქტივობა კარგად ჩანდა და ამ პერსონაჟის ბრძოლა კარგად ჩანდა და ძალა და პლიუს კიდე ის ქალწულის თემა, ვოვონას გადასარჩენად რო მიდის სავარაუდოდ ყმაწვილი მგონია"

რესპონდენტი #2, შეკითხვაზე თუ რა მოეწონა ტექსტში განსაკუთრებით ექსპლიციტურად აღნიშნავს კეთილის ძალების გამარჯვებას ბოროტებაზე:

„ფენტეზის ელემენტები მომეწონა ჩემს არჩეულ ტექსტში. ასევე ამ ტექსტში მომეწონა რაღაც ჰეროიკული ნაწილი ქონდა ამ ტექსტს, და ის რო ბოლოს კეთილი ძალა იმარჯვებს და მხეცს ამარცხებს.“

მისტიკურობის განცდა

რესპონდენტი #2 კითხვაზე თუ რა მოეწონა ხაზს უსვამს ტექსტის მიერ შექმნილ ფანტასტიკურ აურას.

„ფენტეზის ელემენტები მომეწონა ჩემს არჩეულ ტექსტში. ასევე ამ ტექსტში მომეწონა რაღაც ჰეროიკული ნაწილი“

რესპოდენტი #8 შეკითხვაზე თუ რა მოეწონა ამ ტექსტში და რატომ მიანიჭა მას უპირატესობა ამბობს, რომ ტექსტიმისტიური და დამაინტრიგებელია, აქედან გამომდინარე - მისთვის საინტერესო.

„იქიდან გამომდინარე რომ მისტიურია საკმაოდ და დამაინტრეგებელი და საინტერესო ტექსტი იყო ჩემთვის, მე ასეთი ტექსტები უფრო მომწონს“

იგივერესპონდენტი (რესპონდენტი #8)ინტერვიუერისშეკითხვაზე,თურომელმომენეტებსგამოყოფდამისიარჩეულიტექსტიდანა სახელებსაღწერისნაწილს.ამ ნაწილში აღწერილიასიტუაციადაგარემო. ესნაწილიდატვითულიიყორელიგიურისიმბოლიკითრაცმისტიურობასსძენსტექსტს.

„აღწერის ნაწილი, პირველი ნაწილი სადაც აღწერს სიტუაციას და არა პროცესს თვითონ რა ხდება.“

ინტერვიუერის კითხვაზე თუ განსაკუთრებით რა მოეწონა მის არჩეულ ტექსტში რესპონდენტი #9 პირდაპირ ასახელებს მისტიურობას და ამბობს:

„განსაკუთრებულად მომეწონა ის რომ ყველაფერი აღწერილია როგორც ძაან დიდებული, მისტიური, რაღაცა ანტიკური მხეცი ჩანს ფანტასტიკური, ყველაფერი გაბუქებულია და ა.შ.“

ზებუნებრივი ძალების არსებობის შეგრძნება და ზებუნებრივი ძალის დახმარება

კიდევ ერთი რელიგიური ქვე-თემა რომელიც მეორდებოდა ინტერვიუებით მოპოვებულ მასალაში იყო *ზებუნებრივი ძალების არსებობის შეგრძნება და ზებუნებრივი ძალის დახმარება*

რესპონდენტი #1, შეკითხვაზე რა მოეწონა განსაკუთრებით მის არჩეულ ტექსტში ხაზს უსვამს ბნელ გამოქვაბულში შემომავალ ერთადერთ მზის სხივს (მზის სხივი ტექსტში კეთილი ძალების სიმბოლოა) და ამბობს, რომ მიუხედავად იმისა რომ ბნელ გამოქვაბულში უნდა შეჰქმნოდა შემაძრწუნებელი უსიამოვნო შეგრძნება, ნათელი მაინც ჩანდა და ეს სიამოვნებდა:

„მომეწონა თვითონ გამოქვაბულის აღწერილობა, დასაწყისში, კი მომეწონა. ძალიან მომეწონა სხივი რომელიც სცემდა, აი სინათლე მიუხედავად იმისა რომ იყო გამოქვაბული უნდა შემქმნოდა რაღაც ისეთი შემაძრწუნებელი თუ რაღაცა, შთაბეჭდილება, ნათელი მაინც ჩანდა, მზის სხივი შემოდიოდა და ეს ძალიან მესიამოვნა.“

რესპონდენთი #1, კითხვაზე თუ რომელი მომენტი მიაჩნდა ტექსტის სიუჟეტში მნიშვნელოვნად და რატომ პასუხობს შემდეგს:

„რა მიმაჩნია და აი ის მზის სხივი რომელმაც იმატა და ეს მხეცი დააბრმავა, რომელმაც საშუალება მისცა ჭაბუკს რომ უპირატესობა მოეპოვებინა.“

შესაბამისად, ხაზს უსვამს ზებუნებრივი ძალის დახმარებას ბოროტებასთან ბრძოლაში.

რესპონდენტი #2, კითხვაზე თუ ტექსტის სიუჟეტური ხაზიდან რა იყო მნიშვნელოვანი და რატომ, ხაზს უსვამს მზის სხივის დამაბრმავებელ ნათებას რაც ზებუნებრივი ძალების დახმარებადაა ტექსტში გამოყვანილი:

„მნიშვნელოვანი მომენტი? გარდამტეხი მომენტი? თუ მნიშვნელოვანი? მხეცი რომ სინათლის სხივმა დააბრმავა, რამაც უპირატესობა მისცა გმირს რომელმაც გადაარჩინა ქალწული“

რესპოდენტი #2 იმის შესახებ თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს, სინათლეს აკავშირებს კეთილ ძალებთან და ამბობს:

„ინდივიდუალურ აღქმაზეა ალბათ ეს დამოკიდებული, მაგრამ ძირითადი გზავნილი რაც არის ის რომ სინათლეს შეუძლია დაგვეხმაროს ბოროტების დამარცხებაში და ამაზე თუ გავაკეთებთ აქცენტს და სინათლეს მივიჩნევთ განათლებად ან რაიმე კეთილ ძალებთან დავაკავშირებთ რომელიც ბოროტების დამარცხებაში გვეხმარება ალბათ ამას გვაძლევს რომ შეგვიძლია დადებითი რაღაცები რაც სინათლეს უკავშირდება გამოვიყენოთ იმ ბოროტების დასამარცხებლად რაც ჩვენ სამყაროში არცთუ ისე ბევრია.“

რესპონდენტი #3, ინტერვიუერის კითხვას, თუ რა მოეწონა მის არჩეულ ტექსტში განსაკუთრებით, ზებუნებრივის ძალების დახმარებას გამოყოფს და ამბობს:

„განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ ჰქონდა დასახული მიზანი, ბევრიც უშრომია სანამ გამოქვაბულამდე მიაღწევდა, დაღლილი ყოფილა და რომ მივიდა უკვე შებრძოლების თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც ზებუნებრივის თუ რაღაცის დახმარებით, მიაღწია თავის დასახულ მიზანს და კაია.“

რესპოდენტი #3, გადამწყვეტ მომენტზე საუბრისას მზის სხივის შემოსვლას უსვამს ხაზს.

„გადამწყვეტი მომენტი იყო, რომელმაც საერთოდ შემოატრიალა სიტუაცია, ის მზის სხივის შემოსვლა.“

იგივე, რესპოდენტი #3, ინტერვიუერის შეკითხვას თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს ამბობს:

„რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს? თუ აძლევს საერთოდ რამეს? რეალურად შეიძლება არ აძლევდეს, მაგრამ მიზანი ის არის ალბათ, რომ დაანახოს რო აქვს აზრი ბრძოლას, იმის მიუხედავად ვის ებრძვი. შენზეა ძლიერია ის თუ არა და შეიძლება შენს გარეშე რაღაცაც დაგეხმაროს, იქნება ეს ადამიანი თუ ზებუნებრივი ძალა.“

რესპოდენტი #9, როდესაც საუბრობს მომენტებზე რომლებსაც გამოყოფდა მისი არჩეული ტექსტიდან, ხაზს უსვამს ზებუნებრივის არსებობის სიმბოლოს, მზის სხივს და ამბობს შემდეგს:

„ერთადერთი სხივი რომ ქანდაკებას ეცება კიდე ის, იმედი რომ გადაწურული იყო მზის სხივის სინათლემ დამაბრმავებლად იმატა“

რესპოდენტი #9, ტესტის სიუჟეტური ხაზის გადამწყეტ მომენტზე საუბრისას ისევ მზის სხივის დახმარებას უსვამს ხაზს:

„სიბნელეს მიჩვეულ მხეცს თვალს რომ მოსჭრის და დაბრმავდება მზის სხივით“

რესპოდენტი #11 ინტერვიუერის თხოვნაზე რომ აღედგინა მისი არჩეული ტექსტი და მოეყოლა როგორც შეეძლო, მონათხრობში ხაზს უსვამს ზებუნებრივი ძალის არსებობის მიმანიშნებელ სიმბოლო, მზის სხივზე და მის დახმარებაზე

„თავიდან რომ დავიწყოთ, დარბაზში იყო სიბნელე, და იდგა ქანდაკება ე.ი. ტანი ქონდა ადამიანის და თავი ჰქონდა დრაკონის და აი ამ ეს იყო მსხვერპლშესაწირი რაღაც ობიექტი და მის ქვეშ იწვა ქერათმიანი გოგონა, ქალწული, და შემოდიოდა მხოლოდ ერთი სხივი, მზის. შემდეგ იყო გადართული ჭაბუკზე თუ ყმაწვილზე რომელიც ელოდებოდა ამ მხეცის გამოღვიძებას და ანუ რო დაინახა ეს გოგონა მიიჭრა ამ გოგონასთან და უცბად მიწა იძრა სიბნელიდან გამოხდა ურჩხული და ამ ჭაბუკმა უკან დაიხია, დრაკონი გამოიყვანა ამ სინათლის შუქზე და როდესაც სინათლის შუქი მიწვდა დრაკონის თვალებს დრაკონი დაბრმავდა და ანუ შემდეგ დარბმავებულ დრაკონი ყმაწილი გვერდზე გახტა და სინათლის სხივის ხმალი ქონდა რაღაც ეგეთი მისი დახმარებით დრაკონი განგმირა.“

პირდაპირი პარალელები რელიგიასთან და რელიგიურ ისტორიებთან

მოპოვებული მასალის გაცნობისას გამოიკვეთა კიდევ ერთი მკაფიო თემა, ეს იყო *პირდაპირი პარალელები რელიგიასთან და რელიგიურ ისტორიებთან.* რესპონდენტები არა მხოლოდ იმპლიციტურ დონეზე ახდენდნენ რელიგიურ სიმბოლიკასთან ასიმილაციას, არამედ ისინი პირდაპირ ავლებდნენ პარალელებს რელიგიასთან და რელიგიურ ისტორიებთან.

მაგალითად, კითხვაზე თუ ხედავს რაიმე კავშირს რეალობასთან, ისტორიულ მოვლენასთან ან საზოგადოდ ნაცნობ ისტორიასთან, რესპოდენტი #1 პირდაპირ ახსენებს რელიგიას და პასუხობს:

„უნდა დავფიქრდე ამაზე, დღევანდელობასთან ვერ ვხედავ, რავიცი ისტორიულ მოვლენასთად თუ ჩაითვლება, რელიგიური, აი იცი რომელი სახარებისეული, შვილი რო მიყავს შესაწირად და ღმერთი ცხვარს რომ მიაწვდის, ანუ შეიცვალა რაღაც ისე ანუ...“

ამ შემთხვევაში რელიგიის ცნობიერად ხსენება, *მსხვერლშეწირვას* უნდა გამოეწვია. მსხვერპლშეწირვა,რელიგიური სქემის ერთ-ერთი კომპონენტია და ნარატივშიც გამოყენებული იყო, როგორც ერთ-ერთი რელიგიური მარკერი.

რესპონდენტი #9, ამავე შეკითხვაზე იხსენებს წმინდა გიორგის გმირობის ისტორიას, რომლის ნარატიულ ხაზსაც მიჰყვება კველვაში გამოყენებული ტექსტი.

„ანტიკურ მხეცს რომ კეთილი განგმირავს და თან მზის სხივები და სინათლე და მისტიური ფანტასტიკური იერი რომ აქვს ეგ მახსენებს წმინდა გიორგის შესახებ ლეგენდას.“

რესპოდენტი #12, კითხვაზე თუ ხედავს კავშირებს რეალობასთან, ისტორიასთან ან ცნობილ ისტორიებთან, ხაზს უსვამს მსგავსი ისტორიებს სიხშირეს ზღაპრებში, მითებსა და ლეგენდებში. ახსენებს წმინდა გიორგის ამბავს და საზოგადოდ ცნობილ ლეგენდებს სადაც გველეშაპი სოფლის წყალს დაეპატრონება ხოლმე:

„კავშირს ვხედავ რამდენიმე წიგნთან, რამდენიმე ნაწარმოებთან და ფენტეზის ტიპის წიგნებშიც ხშირად ვხვდებით და რელიგიაშიც ვხვდებით მსგავს ამბებს. წმინდა გიორგის ამბავი გველეშაპს რომ ებრძვის და პლიუს კიდევ სოფლის ლეგენდებში და მითებში ხშირად არის ხოლმე გველეშაპი რო წყალს გადაკეტავს და სოფელს არ აძლევს.“

გარდა ამ მკაფიო თემებისა, რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ რელიგიისთვის დამახასიათებელ სხვა კულტურულ მარკერებზე, მაგალითად *მსხვეპლშეწირვა.*

რესპოდენტი #10 ინტერვიუერის შეკითხვაზე თუ რომელ პერსონაჟს ან პერსონაჟებს გამოყოფდა საუბრობს სამსხვერპლოზე დაწოლილ ქერა ქალწულზე და ამბობს

„პერსონაჟებს ვთქვათ იმ ქალწულს რომელიც უნდა შეეწირათ ამ ურჩხულისთვის, დარწმუნებული ვარ რომ მისი განძრახვა, ასე ვთქვათ, ჩამოყალიბებული არჩევანი ეს არ იყო, უბრალოდ საზოგადოების „პონტში“ მოუწია რო ყოფილიყო ეს მსხვერპლი.“

გარდა იმისა, რომ მსხვეპლშეწირვა რელიგიური კულტურული მარკერია, წმინდა გიორგის ისტორიაში, სამსხვერპლოდ გოგონას სოფელი იმეტებს.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ტექსტის ანალიზი

რაც შეეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნარატივის თემატურ ანალიზს. საინტერესო იყო თუ რა თემები გამოიყო და რის საფუძველზე აირჩიეს ეს ტექსტი კვლევაში მონაწილეებმა. ჰქონდა თუ არა მათ არჩევანზე გავლენა ასმილიაციას პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურულ მარკერებთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თემა პოლიტიკის შემადგენელი ქვე-თემებად გამოიყო: *ძალადობა და ძალაუფლება, პროტესტი და წინააღმდეგობა; მორჩილება და უსუსურობის განცდა, პოლიტიკური ნება.*

ძალადობა და ძალაუფლება

რესპოდენტი #6, ინტერვიუერის შეკითხვაზე თუ რა იყო ამ ტექსტის დედააზრი, ხაზს უსვამს ძალადობას.

„ცოტა ისეთი კითხვაა, ჩემი აზრით რაღაც ძალადობას გადმოსცემს მოკლედ და დედა აზრიც ეგ უნდა იყოს.“

რესპოდენტი #4 ხაზს უსვამს მთავრობის ძალაუფლებას და კითხვაზე რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს ამბობს:

„ანუ, არის მთავრობის ძალაუფლებაზე რა. პოლიტიკის სათავეებში ვინც დგას მაგათ ძალაუფლებაზე. ალბათ ამის დანახვის შესაძლებლობას აძლევს ადამიანს. ხო, რავი ცოტა მოწოდებასავით შეგვიძლია გავიგოთ თან. პოლიტიკური ვნება გამოავლინეს და ამ ჯარისკაცებმა დახოცეს რამდენიღაც ღორი და მოკლედ, შემოსავლის გარეშე დატოვესო მოსახლეობა."

რესპოდენტი #5 შეკითხვას დედააზრის შესახებ ძალაუფლებაზე ხასგასმით პასუხობს

„ჩემი აზრით, დედააზრი რა არის? მე ვფიქრობ რომ დედააზრი დიდად არ აქვს, მაგრამ მე რასაც დავინახავდი და არაც მინდოდა რომ ყოფილიყო იქნებოდა უფრო ძალაუფლებისადმი მორჩილება, ჩაგვრა“

კვლავ ამახვილებს ყურადღებას ძალაუფლებაზე და დაქვემდებურებული პირების მიმართ ზეწოლაზე რესპოდენტი #5, როდესაც პასუხობს კითხვას რეალობასთან ან ისტორიასთან პარალელებზე.

„კი, მაგის მეტს რას ვხედავ [იცინის]. ჩვენს რეალობაში. იგივე მოვალეობების შესრულება, მორჩილება. მეორე მხრივ დაქვემდებარებული ადამიანების არსებობა რომელზეც შეგიძლია მიუთითო და ზეწოლა მოახდინო. მესამე ის რომ შედეგი დგება და შედეგი რომელიც შესაძლოა სრულიად არ იყოს ლოგიკური“

რესპო,დენტი #4, ტექსტის დედააზრად ძალაუფლებას მიიჩნევს და ამბობს:

„ანუ, არის მთავრობის ძალაუფლებაზე რა. პოლიტიკის სათავეებში ვინც დგას მაგათ ძალაუფლებაზე. ალბათ ამის დანახვის შესაძლებლობას აძლევს ადამიანს. ხო, რავი ცოტა მოწოდებასავით შეგვიძლია გავიგოთ თან.“

პროტესტი და წინააღმდეგობა

რესპონდენტი #6,კითხვაზე თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს ამბობს რომ მასში გააჩინა პროტესტის შეგრძნება.

„მე მაგალითად ის მომცა რომ პროტესტი გამიჩნდა ამ ხელისუფლების მოქმედების მიმართ“

რესპონდენტი #4, შეკითხვას თუ რა მოეწონა განსაკუთრებით მის არჩეულ ტექსტში ამბობს შემდეგს:

„ა, ჩემს არჩეულში? ხო, რაღაც რეალური სცენაა აღწერილი და ანუ იგივე პასუხი მაქვს რა. პარალელის გავლება შემიძლია რაღაც, პროტესტი, წინააღმდეგობა.“

ისევ რესპონდენტი #4-ის ინტერვიუში, დედააზრთან დაკავშირებულ შეკითხვაში ვაწყდებით წინააღმდეგობასა და პროტესტს:

„დღევანდელობასთანაც და ისტორიასთანაც კი. ანუ, პროტესტი, წინააღმდეგობა და მოწოდებებიო და საბოლოოდ მაინც მთავრობა ისე, რომ იქცევა რომ ხალხს აზარალებს ამით. ახლა კონკრეტულ მომენტს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ზოგადად კი, შემიძლია პარალელის გავლება.“

რესპონდენტი #11-ი შეკითხვაზე თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს ღიად გამოყოფს, რომ ტექსტი უნდა მოუწოდებდეს ხალხს წინააღმდეგობისა და პროტესტისკენ.

„ეს ტექსტი ამას აძლევს რო „კაროჩე“ მმართველი რგოლი ვინცაა, აბსოლუტური უმრალვესობა ესეთი არასამართლიანი ტიპია და ეს ტექსტი იმას აძლევს რომ მმართველი გოლი დაანახოს ხალხს და ის რო როგორც შეგვეძლება ამათ წინააღმდეგობა უნდა გავუწიო, ამ ხალხმაც თვითონ და ვინც ესეთ დღეშია ჩავარდნილი იმიტო რო თავისით ესენი კეთილი ტიპები არ გახდებიან არც გამხდარან არასდროს, მაგას აძლევს ეს ტრაგიკული ტექსტები რო ბრძოლის სურვილი გაუჩინოს“

რესპოდენტი #14 როდესაც პასუხობს კითხვას თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს ამბობს:

„პროტესტის სურვილს ალბათ და მე რო ჯარისკაცის ადგილზე ვყოფილიყავი შეიძლება ბრძანება შემესრულებინა, მარა პროტესტის გრძნობა მომავალში გამიჩნდებოდა იმ მომენტში შეიძლება არაფერი შემეცვალა მარა მომავალში ერთი პროცენტით მაინც შემეცვალა“

მორჩილება და უსუსურობის განცდა

რესპონდენტი #5 თხოვნაზე რომ გამოეყო მისთვის მნიშვნელოვანი მომენტები ყურადღებას ამახვილებსშემდეგ მონაკვეთზე:

„გამოვყოფდი, ჯარისკაცი რომ ეუბნება რომ დავალებას ასრულებდა და თავად არ უნდოდა. გამოვყოფდი ხვეწნის ნაწილს რაც იყო და დასასრულიც, ღორები რო დახოცეს, ეგეც.“

ამ მონაკვეთში ჩანს ჯარისკაცის მორჩილება და იკითხება როგორც მისი უსუსურობა, რომ არ შესწევს ძალა რომ არ შეასრულოს ბრძანება, ასევე ჩანს მოსახლეობსაც, ხვეწნა და მუდარა უსუსურობის ნიშანია.

რესპონდენტი #5-თან კვლავ ხვდებით მონაკვეთს სადაც იგი გამოკვეთილად საუბრობს ძალაუფლების მიმართ მორჩილებაზე:

„ჩემი აზრით, დედააზრი რა არის? მე ვფიქრობ რომ დედააზრი დიდად არ აქვს, მაგრამ მე რასაც დავინახავდი და რაც მინდოდა რომ ყოფილიყო იქნებოდა უფრო ძალაუფლებისადმი მორჩილება, ჩაგვრა“

შეკითხვაზე თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს რესპონდენტი #5 ექსპლიციტურად გამოყოფს მორჩილებას.

„მაშინ მორჩილება ბრძანებებისადმი და მეორე მხრივ მორჩილება რომ ჩვეულებრივი მორჩილი ხარ და ვიღაცას შეუძლია გააკონტროლოს ვინ სად რამდენი გეყოლება და ისიც რომ ხშირად შეიძლება შენი საკუთრება დაზიანდეს.“

რესპოდენტი #14, როდესაც საუბრობს იმაზე თუ რა მოეწონა ყველაზე მეტად მის არჩეულ ტექსტში, ღიად გამოყოფს უსუსურობასა და მორჩილებას

„იქიდან გამომდინარე რო ზოგადად მსოფლიოში ეს პრობლემაა რო ზედა რგოლიდან ბძანებები მიდის რა ხო ხვდები, ამან უფრო დამაინტერესა იმიტო რო ერთ ტიპს რომელიც არის ჯარისკაცი, არ შეუძლია შეცვალოს ზემდგომის ბრძანება და ამ ზემდგომმა მისი ზემდგომის ბრძანება და ამ დროს ისპობა მეგაპოლისის შემოსავლის წყარო რომელიც არის სამასი ათასი ღორი“

ასევე, რესპოდენტი #14 ყურადღებას ამახვილებს მორჩილებაზე როდესაც გამოყოფს მნიშვნელოვან მომენტებს

„ყველაზე მეტად გამოვყოფდი აი დედა რო მუხლებზე დაუვარდა შემოსავლის წყარო არ მომისპოო, ბავშვზე ანიშნებდა რა და ყველაზე მძიმე ეგარი და ჯარისკაცი რო იმეორებდა მონოტონურად რო მთავრობის ბრძანებას ასრულებდა.

ეპიზოდი, სადაც ჯარისკაცი ამბობს რომ მთავრობის ბრძანებას ასრულებს, ხაზს უსვამს როგორც მთავორიბს პოლიტიკურ ნეტას ასევე, ჯარისკაცის მორჩილებას.

პოლიტიკური ნება

შეკითხვაზე თუ რომელი მომენტია მნიშვნელოვანი რესპონდენტი #5 ხაზს უსვამს მთავრობის პოლიტიკურ ნებას და ამბობს:

„მთავრობამ რომ ხალხი გაწირა. ანუ მაგაზე არის ძირითადად აქცენტი, რომ აღწერილია ოჯახის სიტუაცია და რომ გაწირეს და ეს ოჯახის სიტუაცია კიდე უფრო დრამატულს ხდის ამ ყველაფერს.“

რესპოდენტი #4 კი, შეკითხვაზე რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს ამბობს:

„პოლიტიკური ნება გამოავლინეს და ამ ჯარისკაცებმა დახოცეს რამდენიღაც ღორი და მოკლედ, შემოსავლის გარეშე დატოვესო მოსახლეობა.“

რესპოდენტი #7, სიუჟეტში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტად გამოყოფს, ადგილს სადაც პოლიტიკურ ნებაზეა საუბარი და ამ მონაკვეთს მთლიანი ტექსტის დედააზრს უწოდებს.

„ალბათ ეს ბოლო მომენტი, ცხრამეტმილიონიანმა მეგაპოლისის მმართველობამ საკუთარი ნება გამოვლინა და 70 000 მოსახლე შემოსავლის გარეშე დატოვა. სავარუადოდ ეს მთლიანი დედააზრია ამ პატარა სიუჟეტის“

რესეპოდენტი #14, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად ასახელებს მეგაპოლისის მმართველობის პოლიტიკურ ნებას:

„ყველაზე მეტად მიმაჩნია ორი რამ, პირველი არის დედის და ჯარისკაცის მოკლე დიალოგი დამეორე არის 19 მილიონიანო მეგაპოლისის მმართველობამ რომ მოსახლეობა დატოვა შემოსავლის გარეშე“

ამ ნარატივში ინტეგრირებული, მეორე მსხვილი მაკროკულტურული ფაქტორი, იყო ეკონომიკა. ხოლო მისი შემადგენელი ქვე-თემა - *შემოსავლის წყარო.*

შემოსავლის წყარო

ინტერვიუერის კითხვაზე თუ რა მომენტს გამოყოფდა, რესპონდენტი #6 ხაზს უსვამს ეპიზოდს როდესაც ნარატივში აღწერილ ოჯახს შემოსავლის წყაროს უსპობენ.

„შემოსავლის წყაროების დახოცვას გამოვყოფდი და თხოვნას ჯარისკაცებისადმი“

იგივე რესპონდენტი #6, ინტერვუერის თხოვნაზე, რომ მოეყოლა ტექსტი როგორც ახსოვდა, იხსენებს მხოლოდ იმ მომენტს სადაც ადამიანებმა დაკარგეს ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი.

„როგორც ოჯახური გარემო იყო თავიდან სადაც ჯარისკაცები იჭრებოდნენ ოჯახებში, ამ დროს მამას სთხოვდა თუ დედას სთხოვდა რომ არ გაენადგურებინათ

შემოსავლის წყარო. გარკვეული რაოდენობის ღორები დაუხოცეს და შემოსავლის წყარო შეუყდა რამდენიმე ათას ოჯახს“

რესპონდენტი #4-იც, ხაზს უსვამს შემოსავლის წყაროს მნიშვნელობასდა შეკითხვაზე თუ რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს პასუხობს:

„....პოლიტიკური ნება გამოავლინეს და ამ ჯარისკაცებმა დახოცეს რამდენიღაც ღორი და მოკლედ, შემოსავლის გარეშე დატოვესო მოსახლეობა.“

ინტერვიუერის შეკითხვას თუ რომელ მომენტს გამოყოფდა, რესპოდენტი #7-ი შემოსავლის წყაროზე ხაზგასმით პასუხობს:

„აი ამას მაგალითად, დედა მუხლებზე დაცემულიყო, მამა ემუდარებოდა ჯარისკაცებს შემოსავლის წყაროს ნუ მომისპობთო ა ოთახში ახლად გამოსულ შეშინებულ ბავშვზე ანიშნებდა. თავიდან გამიჭირდა გააზრება შემოსავლის წყაროზე ვერ მიხვხდი უცებ რააზე იყო საუბარი, ბავშვი იყო შემოსავლის წყარო თუმცა მერე გავიგე. ალბათ ამ მომენტს გამოვყოფდი, რომ ეს რაღაცა მუდარა იყო, ხვეწნა იყო. და ბავშვმაც კი ვერ იმოქმედა ამ შემთხვევაში.“

რესპონდენტი #14, შეკითხვაზე თუ რატომ აირჩია ეს ტექსტი ხაზს უსვამს შემოსავლის წყაროს გაწყვეტას და ამბობს:

„პრობლემას უფრო ვხედავ ბევრ ადამიანს რო უსპობენ შემოსავლის წყაროს რა. ამ მიმართულებით უფრო წავედი“

რესპოდენტი #14, კიდევ ორგან გამოყოფს შემოსავლის წყაროს, შეკითხვაზე თუ რა არის ამ ტექსტის დედააზრი იგი პასუხობს:

„დედააზრი რაც მე მიხვდი არის რო მოკლედ ერთ ადამიანს არ შეუძლია წყობის შეცვლა და მმართველობას როგორ შეუძლია დაიკიდოს მოსახლეობის შემოსავლის წყარო“

და თხოვნაზე რომ მოყვეს ტექსტი როგორც ახსოვს, იგი ყვება:

მოკლედ, როგორც მახსოვს მატრასზე ჯდება, ეს გამოხატავს გლეხურ წყობილებას ძირითად და მარტო ჭამაზე ფიქრობენ და ისეთ მდგომარეობაში არიან რასაც მოიპოვებენ ის უნდა ჭამონ და არ აქვთ მეტის საშუალება. ამდროს შემოდის ჯარისკაცი მმართველობიდან და ეუბნება რო უნდა ამოუწყვიტოს ერთადერთი შემოასვლის წყარო. შესაბამისად ყველანარიად ეხვეწება დედა და მუხლებში უვარდება რო ბავშვსაც არაფერი უქნან და დაინდონ შემომსავლის წყაროც. ჯარისკაცი უენბება რო დავალებული აქვს და შეიძელბა არც იყოს ჯარისკაცის სურვილი მარა ვერც დედა ვერ წაუვა ამ გადაწყვეტილებას და ვერც ჯარისკაცი წაუვა და ვერც სიტყვაზე, ადგილობრივი მოსახლეობა რომელსაც უწყვიტავენ. და ბოლოს დასკვნა მთავარი არი რო ვერავინ ეწინააღმდეგება, ეს ძაან ჩამრჩა, მეგაპოლისის მმაღტველობას თავისი გააქვს და სამასი ათასი ღორის ამოჟლეტა ხდება, რომელიც არის ამ მოსახლეობის ერთადერთი შემოსვალი წყარო.“

ასევე, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტზე საუბრისასაც იგი ხაზს უსვამს შემოსავლის წყაროს მოსპობას.

„ყველაზე მეტად მიმაჩნია ორი რამ, პირველი არის დედის და ჯარისკაცის მოკლე დიალოგი დამეორე არის 19 მილიონიანი მეგაპოლისის მმართველბამ რომ მოსახლეობა დატოვა შემოსავლის გარეშე“

შედეგები, კვლევის შეზღუდვები და დასკვნა

კვლევის შედეგი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, 15 გამოკითხული მონაწილიდან, შვიდმა მათგანმა აირჩია რელიგიური ნარატივი, ხოლო რვამ -პოლიტიკურ-ეკონომიკური. კვლევის ჰიპოთეზა - ადამიანები, ასიმილაციის პროცესს მარტივად ახდენენ რელიგიურ სიმბოლიკასთან და შესაბამისად, იმპლიციტურად მიკერძოებულნი არიან რელიგიური სიმბოლიკის მატარებელი მოვლენების მიმართ, არ გამართლდა, ვინაიდან კვლევამ აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე რესპოდენტებიდან უფრო მეტი, იმპლიციტურად მიკერძოებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურული მარკერების მიმართ, ვიდრე რელიგიური კულტურული მარკერების მატარებელი ნარატივის მიმართ. თუმცა, ამ დასკვნას ეჭვქვეშ აყენებს რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი და ძალიან რთულია გადაჭრით ვისაუბროთ მცდარია თუ ჭეშმარიტი კვლევის ჰიპოთეზა.

იმ შვიდი რესპონდენტის ინტერვიუს თემატურმა ანალიზმა, რომლებმაც რელიგიური ნარატივი აირჩიეს, აჩვენა, რომ მათი გადაწყვეტილების მიზეზი სწორედ რელიგიურ მარკერებთან, ასიმილაციის პროცესით, შინაარსების ფორმირება იყო.

კვლევა სულ 15 რესპოდენტზე ჩატარდა და სასურველია მომავალში ჰიპოთეზა გადამოწმდეს მეტ მონაწილეზე. ჰიპოთეზა არ გამართლდა ძალიან მცირე სხვაობით. (სხვაობა იყო 1 რესპონდენტი. პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარატივი აირჩია რესპონდენტთა 53.3%-მა ხოლო რელიგიური ნარატივი - 46.6%-მა)

კვლევის შედეგზე გავლენა იქონია დამატებითი ცვლადის გაჩენამ, რომელსაც მკვლევარი წინასწარ ვერ გაითვალისწინებდა. მონაცემების შეგროვების პერიოდში, ქვეყანაში უკიდურესად დაიძაბა პოლიტიკური მდგომარეობა. კვლევის პერიოდში მიმდინარეობდა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, შეტაკებები სპეციალური დანიშნულების რაზმსა და გამოსვლელებს შორის. იყო მოწოდებები სახელმწიფო გადატრიალებისკენ და, გარკვეულწილად, დადგა დაპირისპირების საფრთხე. ვინაიდან, კვლევაში გამოყენებული ერთ-ერთი ნარატივი იყო პოლიტიკური ხასიათის მატარებელი და დატვირთული იყო ისეთი სიმბოლიკით როგორიცაა - ძალადობა, პროტესტი,

წინააღმდეგობა, ძალაუფლება, სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, ჩაგვრა და მორჩილება, ის პირდაპირ ეხმიანებოდა ქვეყნაში განვითარებულ მოვლენებს. ამ პერიოდში აბსოლუტურად ყველა საინფორმაციო საშუალება, ტელე-რადიო მაუწყებლობა თუ სოციალური ქსელები სავსე იყო პოლიტიკური ნარატივებით. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესებმა გავლენა მოახდინა კვლევის შედეგებზე. შესაძლებელია, რომ ასიმილაციის პროცესი, და შესაბამისად, შინაარსების ფორმირება რომელიც გამოიწვევდა იმპლიციტურ მიკერძოებულობას, პოლიტიკურ სიმბოლიკასთან გაადვილებულიყო იმის გამო, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დისკურსები უაღრესად იყო გააქტიურებული. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არსებობს ლოგიკური ეჭვი, რომ პოლიტიკურად სტაბილურ სიტუაციაში, კვლევა განსხავებულ შედეგს მოგვცემდა. მიუხედავად ამ ფაქტორისა, პოლიტიკური ნარატივი მხოლოდ ერთით მეტმა რესპოდენტმა აირჩია. შესაბამისად რთულია გადაჭრით ვისაუბროთ თუ რამდენად სანდოა კვლევით მიღებული მონაცემები.

თემატურმა ანალიზმა გამოააშკარავა მიზეზები თუ რა თამაშობდა გადამწყვეტ როლს რესპოდენტების მიერ გაკეთებულ არჩევანში. რელიგიური ნარატივის შემთხვევაში. იმ შვიდი რესპოდენტიდან, რომლებმაც აირჩიეს ეს ნარატივი, შვიდივე ხაზს უსვამს მათ არჩევანში რელიგიური სიმბოლიკის უდაოდ გადამწყვეტ მნიშვნელობას. როგორც მოკრებილ მასალაში გამოჩნდა, მათ იმპლიციტურ დონეზე, ძლიერი „მნიშვნელობა შექმნეს“ რელიგიურ სიმბოლიკასთან, რამაც მიაღებინათ გადაწყვეტილება რომ აერჩიათ ნარატივი რელიგიური შინაარსებით. აღსანიშნავია, რომ ამ შვიდი რესპოდენტიდან ოთხმა ვერც ინტერვიუს პროცესში გააცნობიერა ნარატივის რელიგიური შინაარსი, ხოლო სამმა გაავლო პარალელები რელიგიურ ისტორიებთან.

რვა რესპონდენტიდან, რომლებმაც აირჩიეს პოლიტიკურ-ეკონომიკური კულტურული მარკერებით დატვირთული ნარატივი, შვიდის ინტერვიუს თემატური

ანალიზი აჩვენებს ძლიერი „მნიშვნელობის შექმნას“ პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურული სიმბოლიკის მიმართ და შესაბამისად რესპოდენტები ამბობენ, რომ სწორედ ეს მარკერები იყო მიზეზი რის გამოც აირჩიეს ეს ნარატივი.

როგორც კვლევის შესავალში აღვნიშნეთ, პოპ-კულტურაში, ნაწარმოებები რომლებიც გვიყვებიან რელიგიურ შინაარებს, ფარულად თუ გამჟღავნებულად, უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ. ფანტასტიკის ჟანრი ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია ლიტერატურასა და კინო-ინდუსტრიაში. ჰარი პოტერი, ბეჭდების ბრძანებელი, მარველის კომიქსები და მათზე დაფუძნებული ფილმები ძალიან მოკლე ჩამონათვალია იმ ნამუშევრებისა, რომლებიც რელიგიურ ნარატივებს მოგვითხრობს და უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მასშტაბით.

აღნიშნული და მსგავსი ნაწარმოებები შეიძლება განვიხილოთ როგორც მითების ჩამანაცვლებელი მოვლენები. როგორც, მირჩა ელიადე, თავის წიგნში, “მითები, სიზმრები და მისტერიებში” (1953) წერს, მითებს, შესაძლოა რელიგიური წარმოშობა და სტრუქტურა აქვთ. პრიმიტიულ საზოგადოებებში, მითების პოპულარობას განაპირობებდა ის, რომ ადამიანები მითებში გადმოცემულ ისტორიებს განიხილავდნენ როგორც ნამდვილს და საკრალურს, შესაბამისად მითები მათთვის ქცევის მოდელები იყო, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ. მითების მოყოლითა და გადმოცემით კი, ისინი უკავშირდებოდნენ მაგიურ სამყაროს და უხსოვარ, “დიად” დროს. მირჩა ელიადე აქვე დასძენს, რომ თანამედროვე სამყაროში მითების “კლასიკური” ფორმა დაიკარგა და საჭირო გახდა, რომ მათი ფუნქცია სხვა მოვლენებს ეტვირთათ. მაგალითად მოჰყავს საყოველთაო გაფიცვა. ამ, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან დაშორებულ მოვლენებს იგი ხსნის საყოველთაო ხელმისაწვდომობით. მოვლენებს და ინფორმაციებს, რომლებზეც ხელი მასებს მიუწვდებათ, აქვთ პოტენციალი, რომ იქცნენ მითებად. ოცდამეერთე საუკუნეში კი, ჰარი პოტერის, ბეჭდების ბრძანებლის, მეფე ლომის მსგავსი ნაწარმოებები შეიძლება განვიხილოთ სწორედ იმ ხიდებად, რომლებიც თანამედროვე ადამიანს აბრუნებს

“მაგიურ” სამყაროსთან. იგივე პრობლემას სვამს კარლ იუნგი თავის წიგნში, “თანამედროვე ადამიანი საკუთარი სულის ძიებაში” (1933) სადაც, ქვეთავში “თანამედროვე ადამიანის სულიერი პრობლემები” იგი ამბობს, რომ თანამედროვე ადამიანს, აწმყოს გაცნობიერების აუცილებლობა გამუდმებით აშორებს კოლექტიურ არაცნობიერს, და შესაბამისად იგი ეძებს მოვლენებს რომლებიც ჩაანაცვლებს მითებს. ოცდამეერთე საუკუნეში კი, როდესაც ინფორმაციაზე წვდომა პრობლემა აღარაა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ნაწარმოებები სწორედ იმ რელიგიური ნარატივების წყაროა, რომლის აუცილებლობაზეც საუბრობენ იუნგი და ელიადე.

მიმართულებები მომავალი კვლევებისთვის

კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეყრდნობოდა დაშვებას, რომ რელიგია ობიექტური კულტურული მოდელია და გააჩნია მყარი კულტურული მარკერები. რადგან, ადამიანი რელიგიურ კულტურულ მოდელში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და არსებობს, ჩვენი დაშვება იყო, რომ მას უნდა ჰქონოდა რელიგიური სქემები, რომელთა მიმართ იმპლიციტური მიკერძოებულობაც იყო ჩვენი კვლევის ინტერესის საგანი. ვინაიდან, ჩვენმა კვლევამ ნამდვილად გამოავლიან იმპლიციტური მიკერძოებულობის ტენდენციები, ეს გარკვეულწილად ლეგიტიმურობას სძენს ჩვენს დაშვებას რელიგიური სქემის და მისი კომპონენტების არსებობის შესახებ.

სამომავლოდ, რეკომენდირებულია, რომ იმპლიციტური მიკერძოებულობის გათვალისწინებით, ჩატარდეს კვლევა რელიგიური სქემის გამოსავლენად. ასევე, გარდა უნივერსალური კომპონენტებისა, საინტერესოა ვიკვლიოთ ის უნიკალური კომპონენტები, რომლებიც ნაციონალური ხასიათის გავლენით, შეიძლება დამატებოდა კონკრეტული ერის რელიგიურ სქემებს.

კვლევის ღირებულება და პრაქტიკული გამოყენების გზები:

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე,მის სამეცნიერო ღირებულებაა ის, რომ იგი გვეხმარება უკეთ დავინახოთ თუ როგორ ხდება კულტურის გააზრება პიროვნებაში, ინდივიდისა და კულტურული ფაქტორის დიალექტიკური ურთიერთმიმართების საფუძველზე. კვლევის მოსალოდნელი შედეგით დასრულება, კულტურაში გაბნეულ მნიშვნელობების გახსნის მცდელობისას, ფსიქოკულტურული მოდელის ლეგიტიმურობას უსვამს ხაზს და აჩენს საფუძველს, რომ მომავალში ამ მიმართულებით ჩატარდეს კვლევები. რაც შეეხება კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას, თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც პროდუქციის გაყიდვა თითქმის სრულად მარკეტინგზეა დამოკიდებული, ამ კვლევით მიღებული ცოდნა, დაგვეხმარება ისეთი მარკეტინგული პროდუქციის შექმნაში, რომელიც მომხარებელში გამოიწვევს არაცნობიერ მიკერძოებას გასაყიდი პროდუქტის მიმართ. ასევე, კვლევით, მიღებული ცოდნა დაგვეხმარება შევქმნათ წარმატებული მასობრივი მოხმარების პროდუქტი მაგ. ლიტერატურული ნაწარმოები, სატელევიზიო გადაცემა, მხატვრული ფილმი და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Baken, L (2014) *Educational Psychology* 1(1):9 Braun, V. and Clarke, V. (2006) Using thematic analysis in psychology. *Qualitative Research in Psychology*, 3 (2). pp. 77-101. ISSN 1478-0887
2. Eliade, M. (1953). Myths, dreams and mysteries 17-21 Geertz, Clifford. (1966) *Religion as a cultural system*
3. India Jagmohan, The Lion King: A biblical allusion of the Story Moses, retrieved from:https://prezi.com/iknaiv2rwyah/the-lion-king-a-biblical-allusion-of-the-story-moses/
4. Jung, C. G. (1933). Modern man in search of a soul227
5. Maguire, M.; Delahunt, B. (2017) .Doing a Thematic Analysis: A Practical, Step-by-Step *AISHE-J: The All Ireland Journal of Teaching and Learning in Higher Education* Guide for Learning and Teaching Scholars. Vol. 3(9), 3351-33514
6. Markus, Hazel R.,Kitayama, Shinobu; *Culture and the self: Implications for cognition, emotion, and motivation;* Psychological Review, Vol 98(2), Apr 1991, 224-253
7. Moises Esteban Guitart; Departament de Psicologia, Universitat de Girona (Spain) Carl Ratner Institute for Cultural Research & Education (Trinidad, USA); *A Macro Cultural- Psychological Theory of Identity*
8. Noon, M. (2018). Pointless diversity training: Unconscious bias, new racism and agency. *Work, Employment and Society*, 32, 198–209. doi:10.1177/0950017017719841
9. Park, C.L.; Folkmn, S. (1997) *Review of General Psychology* , Vol.l(2),115-14
10. Ratner, C. (2006) Cultural Psychology, *A Perspective on Psychological Functioningand Social Reform* 67-133

11. Reker G.T.; Wong P.T.P.; (1988*)* Emergent theories of aging*Aging as an individual process: Toward a theory of personal meaning*;
12. Rowling, J.K. (1998) Harry Potter and The Chamber Of Secrets

13. Shore, B. (1996*). Culture in Mind: Cognition, Culture, and the Problem of Meaning*. Oxford: Oxford University Press

დანართი #1

კველვაში გამოყენებული მასალა:

რელიგიური ნარატივი:

გამოქვაბულის დიდ დარბაზს მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა უზარმაზარი სვეტების წყება. დარბაზის ბოლოს, კედელთან ჭერამდე აზიდული ქანდაკება იდგა, სკულპტურას ადამიანის სხეული და დრაკონის თავი ჰქონდა, ერთ ხელში თასი ეკავა ხოლო მეორეში -

მახვილი. ქანდაკების ფეხებთან, სამსხვერპლოზე, ქერათმიანი გოგონა იწვა. დარბაზს მზის ერთადერთი სხივი ანათებდა რომელიც ზედაპირიდან ჩამოდიოდა და პირდაპირ ქანდაკებას ეცემოდა. მთელი დარბაზის ძირი ძვლებით იყო მოფენილი. გამოქვაბულის ძებნით დაღლილმა, ანტიკური მხეცის მოლოდინში ხმალამოღებულმა მიირბინა გოგონასთან, როგორც კი მიუახლოვდა ქალწულს, მიწა იძრა, სიბნელიდან უზარმაზარი მხეცის ხვნეშის და მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა, ნაბიჯები სულ უფრო ახლოვდებოდა და საბოლოოდ მხეცი სინათლეზე გამოვიდა. უზარმაზარ სხეულს ძვლებზე მოათრევდა და თვდასხმისთვის ეზმადებოდა, ყველა იმედი გადაწურული იყო, როდესაც მზის სხივის სინათლემ დამაბრმავებლად იმატა, უკუნ სიბნელეს მიჩვეულ მხეცს თვალი მოსჭრა და დაარბმავა. მხეცმა ტკივილისგან ღრიალი მორთო და ბრმად დაუწყო ძებნა მსხვერპლს. მხეცის სიბრამვით ისარგებლა ჭაბუკმა და როდესაც ანტიკური ქმნილება მიუახლოვდა, დაბჩენილ ხახაში მზის სხივით შემოსილი ხმალი შეარჭო. ღრიალმა ქვესკნელი შეძრა და რამდენმე წამში უზარმაზარი სხეული უსოლოდდაეცა.

პოლიტიკური და ეკონომიკური ნარატივი:

გამთენიისას მწყობრი ნაბიჯების ხმამ გააღვიძა, გაცვეთილ მატრასზე წამოჯდა და თვალები მოისრისა. ფანჯარასთან მიირბინა და მტვრიან, ბინძურ ქუჩას გადახედა. ჯარის მწყობრ ნაბიჯს ჰაერში მტვერი აეწია. კბილებამდე შეიარაღებულ ხალხს თვალი გააყოლა. შეშინებულმა მეორე ოთახში გაირბინა, მშობლები არ დახვდნენ. გარეთ გავარდა. დედა მუხლებზე დაცემულიყო, მამა ემუდარებოდა ჯარისკაცებს შემოსავლის წყაროს ნუ მომისპობთო და ოთახში ახლად გამოსულ შეშინებულ ბავშვზე ანიშნებდა.

ჯარისკაცი მონოტონურად იმეორებდა წინადადებას - რომ ისინი მთავრობის ბრძანებას ასრულებდნენ. იყო პროტესტი, წინააღმდეგობა, მოწოდებები. საბოლოოდ კი შეიარაღებულებმა მიაღწიეს ფერმას და მოსახლეობის ჯამრთელობის სახელით რამდენიმე საათში სამასი ათასი ღორი გამოასალმეს სიცოცხლეს. ცხრამეტ მილიონიანმა მეგაპოლისის მმართველობამ საკუთარი ნება გამოავლინა და სამოცდაათი ათასი მოსახლე შემოსავლის წყაროს გარეშე დატოვა.

დანართი #2

კვლევაში გამოყენებული კითხვარი:

1. რატომ მიანიჭეთ ამ ტექსტს უპირატესობა?
2. რა მოგეწონათ თქვენს მიერ არჩეულ ტექსტში გასნაკუთრებით?
3. რომელ მომენტებს გამოყოფდით თქვენს მიერ არჩეული ტექსტიდან?
4. რომელ პერსონაჟებს გამოყოფდით თქვენს მიერ არჩეული ტექსტიდან?

5. რას იტყოდით პერსონაჟებს შორის ურთიერთობაზე?
6. თქვენს მიერ არჩეული ტექსტის სიუჟეტში რა მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად და რატომ?
7. თქვენი აზრით, რა არის ამ ტექსტის დედააზრი?
8. თუ ხედავთ რაიმე კავშირს დღევანდელობასთან, ისტორიულ მოვლენასთან ან თქვენთვის უკვე ნაცნობ ისტორიებთან?
9. თქვენი არით, რას აძლევს ეს ტექსტი ადამიანს?

დანართი #3

ინფორმირებული თანხმობის ფორმა:

თანხმობის შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თბილისი, საქართველო) სტუდენტის კვლევაში, რომელიც ხორციელდება ფსიქოლოგიის (ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის) მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

თქვენ არ მოგიწევთ, რამის შევსება ან დაწერა. მოგაწვდით ორ მცირე ზომის ნარატივს რომლებიც უნდა წაიკითხოთ და აირჩიოთ, თუ რომელი უფრო მოგწონთ. შემდეგ დაგისვამთ რამდენიმე ზეპირ შეკითხვას რომლებიც დაკავშირებული იქნება ამ ნარატივებთან და თქვენს განცდებთან. რასაკვირველია, არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი. სწორი პასუხია ის, რომელსაც თქვენ მიიჩნევთ სწორად. მთელი პროცედურა გასტანს მაქსიმუმ 10 წუთს.

გამომდინარე იქიდან, რომ მკვლევარი ვერ დაიმახსოვრებს თქვენს ნათქვამს, მოგვიწევს აუდიოჩანაწერის გაკეთება. შემდეგ მოხდება ტრანსკრიპტებად ჩაწერა. აუდიოჩანაწერები იქნება მკვლევართან და ტექსტად ჩაწერის შემდეგ განადგურდება.

ნებისმიერ ეტაპზე შეგიძლიათ უარი თქვათ და შეწყვიტოთ კვლევაში მონაწილეობა.

გავეცანი ზემოთ აღნიშნულს და თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო კვლევაში